საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 737

14 09 2012 წ.

ქ. თბილისი

,,მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ'' საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 13 ივლისის №534 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ'' საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2012 წლის 13 ივლისის №534 ბრძანებაში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

,,1^1. იმ პირებისათვის, რომლებიც ვერ მოხვდნენ ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში დაწესებულებების მიერ ცენტრში წარმოდგენილ მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტებში, დაწესებულებების მიერ მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების ადგილების ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2012 წლის 18 სექტემბერი.'';

ბ) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2[1]. ამ ბრძანების 1[1] პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 20 სექტემბრიდან 2012 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით.''

გ) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3[1] პუნქტი:

„3[1]. ამ ბრძანების 2[1] პუნქტით განსაზღვრულ მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების ცენტრში წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 24 სექტემბრიდან 2012 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.''

2. დაევალოს საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6).

დირექტორი შოთა ნიჟარაძე